პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ივლისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 175 (14779)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საპატიო შრომითს ვახტზე დგას თბილისის საჩამომსხმელო ქარხანა „ცენტროლიტის" კოლექტივი. ქარხანაში ჩინებულად შრომობს ფოლადის საჩამომსხმელო საამქროს მოწინავე მეფოლადე კომუნისტი ვალერიან ლუტაძე. იგი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრია, ცვლის დავალებას სისტემატურად 125 პროცენტით ასრულებს. სურათზე: მოწინავე მეფოლადე ვ. ლუტაძე.
ფოტო რ. პაპარიგასი (საქფოტოქრონიკა).

ჩვენი პრესის მთავარი ამოცანა

PRAVDA

27 ივლისის მოწინავე

საბჭოთა კომუნისტების მრავალმილიონიანი არმია, მთელი ჩვენი ხალხი ემზადება XXIV ყრილობისათვის, რომელიც მომავალი წლის მარტში შეიკრიბება. ყრილობის მოწვევის ამბავმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის რიგებში. პარტია, რომელიც მეთაურობს და ავითარებს მასების შემოქმედებითს აქტივობას, წარმართავს მათს მეცადინეობას ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი კომუნისტური იდეალების თანამიმდევრულად განხორციელებისათვის.

ამით განისაზღვრება დღეს მთავარი მიმართულება ჩვენი ქვეყნის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობაში. ჩვენმა პრესამ, რომელიც ლენინური პარტიის მებრძოლი თანაშემწეა, პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში სრულად უნდა გამოიყენოს თავისი, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის შესაძლებლობანი.

3. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ დიდი იდეურ-პოლიტიკური, შემოქმედებითი მუშაობა გასწიეს. ისინი მოწოდებული არიან კვლავაც აწარმოონ მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების, პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების. აგრეთვე იმ დებულებებისა და დასკვნების დაკვირვებული, ღრმა და ქმედითი პროპაგანდა, რომლებიც მოცემულია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს". საჭიროა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის წარმატებანი, საბჭოთა კავშირის, როგორც მშვიდობისა და სოციალიზმის ბურჯის სულ უფრო მზარდი ძლიერება და ავტორიტეტი, სკკპ ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი კომუნისტურ მშენებლობაში, მისი ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ფრონტის ერთიანობის განმტკიცებისათვის. ეს ხაზი ჩვენს პრესაში ორგანულად უნდა ეხამჩიოდეს გაღრმავებულ ახსნაგანმარტებას და მშრომელთა ძალების მობილიზაციას მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, პარტიის ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის საბრძოლველად, პოლიტიკისა, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულ ტემპებს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდას.

მშრომელმა მოსკოვმა აღმართა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შესვლელრისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების დროშა. შეჯიბრების ინიციატორთა ვალდებულებანი ითვალისწინებენ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების რაც შეიძლება სწრაფად დანერგვას წარმოებაში, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის უზრუნველყოფას. მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობა მხურვალე მხარდაჭერას პოულობს მთელ ჩვენს ქვეყანაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებში. გაზეთები, ტელევიზია და რადიო მოწოდებული არიან ყოველმხრივ და დაწვრილებით აშუქებდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, განსაზოგადოებდნენ და ავრცელებდნენ მოწინავეთა მიღწევებს, ზრდიდნენ ხელმძღვანელ კადრებს, ყველა მშრომელს მაღალი დისციპლინისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

ჩვენმა პრესამ სოციალისტური შეჯიბრების გაშუქების საყურადღებო გამოცდილება შეიძინა, მაგრამ ვერ დავეყრდნობით მხოლოდ ძველ გამოცდილებას. ეკონომიური განვითარების თანამედროვე ეტაპის პირობებში შეჯიბრება თვისებრივად სულ უფრო მაღალ საფეხურზე ადის. იგი გამოხატავს პარტიისა და ხალხის მისწრაფებას ყოველი ღონისძიებით დაჩქარონ ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმოების ინტენსიფიკაცია. აი რატომ ისახება დღეს ასეთი სიმწვავით გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, ტელევიზიისა და რადიოს წინაშე საკითხი ახლის გრძნობის შესახებ, სამეურნეო საქმიანობის პრობლემებისადმი კვალიფიციური მიდგომის შესახებ. შეჯიბრების ჩვენებაში გადაუდებელი მიმდინარე საქმეებისა და ჩვენი პერსპექტივების უნარიანი შესაბამის შესახებ.

ახლა მეტად საჭიროა დაეხმაროთ შეჯიბრების მონაწილეებს მოახდინონ თავიანთი ენერგიის მობილიზაცია წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მოსავლის აღების სანმუშოდ ჩატარებისათვის, თვითეული მეურნეობის მიერ სახელმწიფოს გეგმა-შეკვეთის, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მშენებლობის დაჩქარებისა და ახალ სიმძლავრეთა ათვისებისათვის, საწარმოთა ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

ყრილობისათვის მზადების პერიოდში მოეწყობა ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში. პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ყოველივე ახალს, რაც იშვა და იბადება სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში, შინაპარტიული ცხოვრების განვითარებაში, ხელი შეუწყონ კომუნისტთა აქტივობის ამაღლებას.

ახლის გრძნობა, იმის უნარი, რომ ღრმად გაიაზროს საზოგადოებრივი განვითარების მოვლენები და ფაქტები, ორგანულად დამახასიათებელია ჩვენი პრესისათვის. პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების, წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის შემდეგ გამდიდრდა ნაყოფიერი შემოქმედებითი ძიებით, რომელმაც გააძლიერა ჟურნალისტურ პრაქტიკაში საქმიანობის სულისკვეთება. ხელი შეუწყო მუშა და სოფლის კორესპონდენტთა აქტივთან რედაქციების კავშირის გაფართოებას. ამასთან ჯერ კიდევ ცოტა როდი აქვს ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც ზერელედ უდგებიან ცხოვრებას, საკმარისად არ ითვალისწინებენ ჩვენი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მოთხოვნებს, სუსტად აშუქებენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოსადმი ხელმძღვანელობის გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადების დროს. და უწინარეს ყოვლისა უნდა დავეხმაროთ რედაქციებს დასახონ მუშაობის გეგმები, გულდასმით განიხილონ ისინი პარტიულ კომიტეტებში, იზრუნონ პრესის გამოსვლების შინაარსის შემდგომი გაუმჯობესებისა და ქმედითობის გაძლიერებისათვის. ჩვენი პრესა საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნაა. პარტიულმა კომიტეტებმა გულისხმიერად უნდა დაუგდონ ყური მის ხმას, შეისწავლონ და გაამდიდრონ პრესაში გამოთქმული შრომელთა წინადადებანი, ოპერატიულად გამოეხმაურონ ამ წინადადებებს.

პრესას, რადიოსა და ტელევიზიას დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პარტიის ლენინური პოლიტიკის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისათვის, ახალი ადამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში, პრესის მუშაკთა ამოცანაა განუხრელად იმაღლებდნენ იდეურ-თეორიულ დონეს, ხვეწდნენ ოსტატობას, ავითარებდნენ რედაქციების კავშირს მკითხველთა მასებთან და აქტივთან, კიდევ უფრო ამაღლებდნენ გაზეთის თვითეული ნომრის, ტელევიზიისა და რადიოს თვითეული გადაცემის ეფექტიანობას.

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

თბილისის მშრომელთა მიჯნები

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწონა ქალაქ თბილისის შრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიკომებს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, ალკკ თბილისის კომიტეტსა და რაიონულ კომიტეტებს, საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების, სასწავლებლების, მომსახურების სფეროს, ქალაქის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და სამეურნეო ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ გაშალონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა იმისათვის, რომ კომუნისტები და კომკავშირელები, ყველა მშრომელი დარაზმონ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

სოციალისტური ვალდებულებანი შედგენილი იმ ვალდებულებათა საფუძველზე, რომლებიც მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, საქალაქო მეურნეობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის საწარმოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების კოლექტივებმა იკისრეს და მიღებულია პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე.

თბილისის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს გასული წლის საწარმოო გეგმები და კარგად დაიწყეს 1970 წელი — ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, კიდევ უფრო დაიჩქარეს მუშაობის ტემპი.

ლენინის საიუბილეო წლის სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მიცულობის ნახევარი წლის გეგმა შესრულდა ვადამდე — 25 ივნისისათვის; სამშობლომ მიიღო 18 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია; წარმოების ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 8,3 პროცენტი. 22 აპრილისათვის შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი გეგმა. წარმატებით სრულდება აგრეთვე საიუბილეო ვალდებულებანი მშენებლობის, ტრანსპორტის დარგში, მომსახურების სფეროში და სხვ.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი, ქალაქის მშრომელებმა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს შემდეგი უმნიშვნელოვანესი სოციალისტური ვალდებულებანი:

მრეწველობაში

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი რეზერვების გამოვლინების გზით სამრეწველო წარმოების მიცულობის ხუთწლედის დავალება შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის.

პროდუქციის რეალიზაციის მიცულობისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1970 წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის; წლის დამლევამდე გეგმის გადამტებით გამოუშვან 24 მილიონი მანეთის პროდუქცია და მიიღონ სულ ცოტა 5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

1971 წლის ორი თვის საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 თებერვლისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღისათვის, პირველი კვარტალის გეგმა კი — სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის.

შრომის ნაყოფიერების 1970 წლის გეგმა გაანაღდონ სულ ცოტა 3 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის გამოშვების მატება ძირითადად უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების გაზრდა.

ქალაქის საწარმოებში ფართოდ დანერგონ შჩეკინოს ქიმიური კომბინატის კოლექტივის გამოცდილება, რათა სრულად გამოავლინონ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები, ნაკლები მუშახელით გამოუშვან მეტი პროდუქცია.

შემდეგ მოყვანილია სამრეწველო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა ზეგეგმითი გამოშვების სოციალისტური ვალდებულებანი:

მნიშვნელოვნად გაადიდონ მძიმე მრეწველობის საწარმოებში სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება.

აითვისონ და გამოუშვან სულ ცოტა 500 ახალი, უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელების მანქანები, ხელსაწყოები, მასალები, ფართოო მოხმარების ნაწარმი, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს და აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას.

აქვე აღნიშნულია ის მთელი რიგი ახალი სახეობების ნაწარმი, რომლებიც უნდა აითვისონ.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ რა პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას, დაუცხრომლად იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის, გაფორმებისა და შეფუთვის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის, მისი საიმედოობისა და სანგამძლეობის ამაღლებისათვის, წუნის გამო დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისათვის, საქარხნო და საფაბრიკო მარკის ღირებულებისათვის.

გეგმაზომიერად იმუშაონ წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა ხუთწლედის დამლევისათვის მძიმე, ნსუბუქი და კვების მრეწველობის 50 სახეობის ნაწარმი შეუსაბამონ საუკეთესო საპჭიური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონეს. მოამზადონ საუკეთესო ნაწარმი სახელმწიფო ატესტაციისა და ხარისხის ნიშნის მინიჭებისათვის წარსადგენად. ქალაქის საწარმოებში ფართოდ დანერგონ პროდუქციის უდიფექტოდ დამზადებისა და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემა.

ყოველნაირად იბრძოლონ ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის, გააძლიერონ მუშაობა წარმოებაში ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, თანამედროვე მასალების გამოყენებისათვის.

შემდეგ აღნიშნულია უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ამ დარგში.

ფართოდ დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოების მართვა, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებები.

სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები, მიიჩნიონ რა უმნიშვნელოვანეს ამოცანად შექმნან ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის საშუალებანი, თანამედროვე მანქანები, ხელსაწყოები და მასალები, ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ტექნიკური და ეკონომიური პრობლემების შემუშავება მაღალ მეცნიერულ დონეზე, დაიჩქარონ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური განაგარიშებების და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის ვადები, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ფართოდ განავითარონ მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობა.

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში ბეჯითად იბრძოლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამაზრთან დაკავშირებით ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ტექნიკური-ეკონომიური ანალიზი, ეფექტიანობა, ხარისხი, ეკონომია, ბრძოლა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა, ბიუროკრატიზმისა, ფორმალიზმისა, ბიუროკრატიზმისა, ფორმალიზმისა, ბიუროკრატიზმისა

მსოფლიო დღეს

სამართლიანი მშვიდობისათვის

დამთავრდა არაბთა სოციალისტური კავშირის სესია

კაირო, 27 ივლისი. საკდესის კორესპონდენტების ს. პაგინსკი და კ. დუდარევი იუწყებიან: არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის III-4 სესიამ, რომელიც აქ მიმდინარეობდა კაიროს უნივერსიტეტის შენობაში, გუშინ დაამთავრა მუშაობა. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა საგუბერნატოროს 1.700 დელეგატმა. 26 ივლისს საღამოს საბოლოო სხდომაზე კონგრესის დელეგატებმა მიიღეს პოლიტიკური განცხადება და დამტკიცეს კონგრესის შვიდი ქვეკომიტეტის მიერ მომზადებული რეკომენდაციები.

არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის წევრების მიერ მიღებულ პოლიტიკურ განცხადებაში მაღალი შეფასება ეძლევა ეგვიპტის 1952 წლის იულისის რევოლუციას, რომლის 18 წლისთავის დღეს — 23 იულისს — მუშაობა დაიწყო არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის III-ე სესიამ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჭირისუფლობა იმის გათვალისწინებით, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბთა მიწების დაბრუნება შეიძლება მხოლოდ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პირობით.

მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სესიის დელეგატები პოლიტიკური განცხადების იმ ნაწილს, სადაც მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას ეგვიპტელი ხალხისათვის გაწეული დახმარების გამო. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, ხაზგასმულია დასკვნითს დოკუმენტში, — არა დროებითი, არამედ მუდმივი ფაქტორია. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს ერთობლივი ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, სამართლიანი მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლებისათვის.

მას შემდეგ, რაც მიიღეს პოლიტიკური განცხადება და რეკომენდაციები, დელეგატებს მოკლე სიტყვით მიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა და არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალურმა მდივანმა გამალ აბდელ ნასერმა.

„ჩვენ, — განაცხადა თავის სიტყვაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, — მშვიდობა გვსურს და გვინდა, რომ არაბთა მთელი მიწები — გოლანის მაღლობები, მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი, იერუსალიმი და სინა, — დაუბრუნონ მათ კანონიერ პატრონებს. ჩვენ გვინდა, რომ პალესტინელები დაბრუნდნენ თავიანთ მიწა-წყალზე, დაბრუნდნენ შინ“.

საყოველთაო ეროვნული კონგრესის III-4 სესიის მთელი მუშაობა, როგორც კაიროს პრესა აღნიშნავს, მიმდინარეობდა არაბთა ოკუპირებული მიწების დაბრუნებისა და პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის საბრძოლველად ქვეყნის მთელი რესურსების მობილიზაციის დევიზით.

ამერიკის შეერთებული შტატები

საშიში გეგმები

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). **მოსალოდნელია ამერიკის ჯარების ახალი „ოპერაციები“ კამბოჯაში, განაცხადა ტელევიზიით გამოსვლისას სენატის შეიარაღებული ჯარების საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სტენისმა.** ამ „ოპერაციებ“ სენატორმა“ ხაზი გაუსვა, რომ „ვიეტნამიზაციის პროგრამის პროცესში“ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები შეიძლება კვლავ შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე ვითომდა იმისათვის, რომ „უზრუნველყონ ამერიკის ჯარების უშიშროება სამხრეთ ვიეტნამში“.

სტენისი აგრეთვე მოითხოვდა რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის „სეიფგარდის“ გაფართოებას და ახლო აღმოსავლეთში უბადაღებული „ძალთა წონასწორობის“ შენარჩუნებას, რა საბაბითაც ამერიკის შეერთებული შტატები აიარაღებს ისრაელ აგრესორებს, რომლებიც ავადმყოფურად ესხმიან თავს არაბულ სახელმწიფოებს.

ვაშინგტონი, 27 ივლისი (საკდესი). ინდოჩინეთში ომის შემდგომი ესკალაციის საშიშროებას აღნიშნავს „ვიეტნამის მშვიდობისათვის მებრძოლის საქმიანი ადამიანების“ ორგანიზაცია, რომელიც პრესისათვის გავრცელებულ განცხადებაში წერს: არის ომის ყველა ნიშანი, რომ საიგონის მარიონეტული ჯარები ემზადებიან, რათა ამერიკის ავიაციისა და არტილერიის დახმარებით შეიჭრნენ ლაოსის ტერიტორიაზე.

ამ შეჭრის მომზადებაში აქტიურ როლს ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ნთქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

დეზერტირობა საიგონის არმიაში

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). საიგონის არმიაში დეზერტირობის ზრდა დიდად აწუხებს არა მარტო სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტ მმართველებს, არამედ აგრეთვე ამერიკის საიგონის სამხედრო სარდლობას, — აღიარებს დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

მიმდინარე წლის მაისში საიგონის არმიიდან გაქცეულთა რიცხვი შეადგენდა 11 ათას კაცს. ივნისში ეს რიცხვი 12 ათასამდე გაიზარდა. „მოელიან, რომ დეზერტირობის ტემპი სულ უფრო გაიზრდება“, — წერს გაზეთი.

ინგლისი

კაკოწიწეგენ სამხედრო გლოკს

ლონდონი, 26 ივლისი. (საკდესი). **ინგლისის თავდაცვის მინისტრი კარინგტონი გუშინ ლონდონიდან გაფრინდა აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სამოგზაუროდ. იგი გამართავს მოლაპარაკებას სინგაპურის, მალაიზიის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მთავრობათა წარმომადგენლებთან.**

მოლაპარაკების მსვლელობაში კარინგტონი, როგორც იუწყებიან, განიხილავს ხუთ ქვეყანას შორის ახალი სამხედრო შეთანხმების დადების შესაძლებლობებს. არსებითად საქმე ეხება შორეულ აღმოსავლეთში ახალი სამხედრო ბლოკის შექმნაზე ინგლისის მეთაურობით და ინგლისის შეიარაღებული ძალებისა და ბაზების დატოვებას „სუეცის აღმოსავლეთით“.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

27 ივლისი

ნიგერიის საგარეო ვაჭრობა

● **ლაგოსი,** 27 ივლისი. (საკდესი). ნიგერიის საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა 1970 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამას იუწყება ნიგერიის ფედერალური სტატისტიკური ბიურო. საგარეო ვაჭრობის აქტიურმა სალდომ შეადგინა 46,8 მილიონი ნიგერიული გირვანქა.

ექსპორტმა ღირებულებითი გამოხატულებით წლის პირველ ნახევარში შეადგინა 211,3 მილიონი ნიგერიული გირვანქა და 27 პროცენტით გადააჭარბა 1969 წლის შესაბამისი პერიოდის ექსპორტის მოცულობას. ექსპორტის ზრდა უმთავრესად მოხდა გადამუშავებული ნავთობის გატანის გადიდების ხარჯზე.

იმპორტმა წლის პირველ ნახევარში შეადგინა 164,5 მილიონი ნიგერიული გირვანქა, ესე იგი 38 პროცენტით გაიზარდა.

მოსახლეობის აღწერა

● **ვარშავა,** 27 ივლისი. (საკდესი). **პოლონეთის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 32.800 ათას კაცს. უფრო ზუსტ მონაცემებს მიიღებენ საყოველთაო აღწერის დროს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, განზრახულია მოიწყოს მიმდინარე წლის დამლეს.** აღწერის დროს შეაგროვებენ მონაცემებს მოსახლეობის ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურის, მშრომელთა საბინაო პირობების შესახებ და სხვა ცნობებს. აღწერის შედეგებს გამოიყენებენ ეკონომიურ დაგეგმვაში, ქალაქების მშენებლობაში, განათლებისა და კულტურის განვითარებაში მომავალი პერიოდისათვის.

წყალდიდობა ვენესუელასა და ინდოეთში

● **ლონდონი,** 27 ივლისი. (საკდესი). **25 კაცი დაიღუპა და 5 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩა ვენესუელაში ძლიერი წყალდიდობის შედეგად.**

წყალდიდობამ, რაც გამოწვეულია ერთი კვირის კოკისპირული წვიმებით, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ნათესებს, დაარღვია კავშირგაბმულობა და სარკინიგზო მიმოსვლა მთელ რიგ რაიონებში. როგორც რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი კარაკასიდან იუწყება, განსაკუთრებით დაზარალდა ბარსელონა, ანსოტეგის შტატის მთავარი ქალაქი.

● **დელი,** 27 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის ასამის შტატში წყალდიდობის შედეგად, რაც მდინარე ბრამაპუტრის ადიდებამ გამოიწვია, დაზარალებულია 10 ათასამდე სახლი. თითქმის 250 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალი ითობით მილიონ რუპიას უდრის.

ფოტოობიექტივშია ჩეხოსლოვაკია



● **ჩეხოსლოვაკიელ მონამგზავრებისა და მინამჰრელების ნაზარმი მთელ მსოფლიოშია განთქმული. ესენია არაჩვეულებრივი ფორმისა და ფერის ვაზები, მდიდრული სასანთლეები და მასიური ლუსტრები, რომლებზეც ირეგლება ცისარტყელას ფერები, ბროლის ჰიქები და სხვა.**

სურათზე: საზარმოს საამქროში ქალაქ ნისას იაბლონეცში.

● **ჩეხოსლოვაკია. კომარნოს გემსაშენში საბჭოთა კავშირის შეკვეთით შენდება სამდინარო გემები, რომელთა ყაყაღუა 2.700 ტონას უდრის.**

სურათზე: მშრალტვირთიანი გემები საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

დევიზი: ხალხთა შორის მეგობრობა

დაიხურა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალი

პრაღა, 27 ივლისი. (საკდესის კორესპონდენტები ვ. დიკვი, ბ. კრავეკი). **კარლოვი ვარში მუშაობა დაამთავრა XVII საერთაშორისო კინოფესტივალმა.** ფესტივალის საზეიმო დახურვას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენელნი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კომენის მეთაურობით, ფესტივალის მონაწილე ქვეყნების კინემატოგრაფისტთა დელეგაციები, მრავალი სტუმარი, ჟურნალისტები.

საერთაშორისო ჟიურის თავმჯდომარემ ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა კინორეჟისორმა კატელ ზემანმა გამოაქვეყნა ჟიურის გადაწყვეტილება.

ფესტივალის დიდი პრიზი „ბრონლის ბლობუსი“ მიეკუთვნა ინგლისური ფილმის „კესის“ (რეჟისორი კ. ლოაჩი) **ახალგაზრდა შემკვლელებს.** ფესტივალის მთავარი პრემიებში მიიღეს — **საბჭოთა ფილმმა „ტბის პირას“ (რეჟისორი ს. გერასიმოვი) და ბულგარულმა ფილმმა „შავი ანგელოზები“ (რეჟისორი ვ. რადევი).** პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიენიჭა **საბჭოთა** მსახიობს ნ. ბელოუსოვისტიკოვს ფილმში „ტბის პირას“ მონაწილეობისათვის. პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მიენიჭა ფრანგ აქტიორს მ. კარიერს ფილმში „ბორიეს სახლი“ მონაწილეობისათვის.

ჟიურის სპეციალური პრემია „ლიდიცეს ვარდი“, რომელიც პირველად დაწესდა წელს, მიენიჭა იუგოსლავურ ანტიფაშისტურ ფილმს „სმსსლიანი ამბავი“ (რეჟისორი ტ. იანკოვიჩი). ჟიურის სპეციალური პრემიები მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმს „ლენინის გზით“, (რეჟისორი გ. რაიში), პოლონურ ფილმს „ჰაბუროლსა“ (რეჟისორი ა. კონდრატუკი) და იტალიურ ფილმს „ღმერთი ჩვენთანაა“ (რეჟისორი დ. მონტალდო). მიენიჭათ აგრეთვე პრიზები, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივმა და შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა დააწესეს.

გარდა ამისა, ფესტივალის დირექციამ თავისი სპეციალური დიპლომები მიანიჭა სამ საბჭოთა ფილმს, რომლებიც უჩვენეს საუკეთესო ანტიფაშისტურ კინონაწარმოებთა რეტროსპექტიულ სერიაში, — „ადამიანის ბედი“ (რეჟისორი ს. ბონდარჩუკი), „ცისარტყელა“ (რეჟისორი მ. დონსკოი), „ივანეს ბავშვობა“ (რეჟისორი ა. ტარკოვსკი) და სხვა ქვეყნების მთელ რიგ ფილმებს.

კარლოვი ვარის ფესტივალის მაღალი ჯილდოების მინიჭებას საბჭოთა ფილმისათვის „ტბის პირას“ აქ კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა წრეებში აფასებენ როგორც საბჭოთა კინემატოგრაფიის დამსახურებულ წარმატებას, საფესტივალო კონკურსის უძველეს პირობებში. ახლანდელ ფესტივალში გამარჯვება მართლაც რომ ძალიან ძნელი იყო, რადგან კონკურსზე წარმოდგენილი კინოლენტების საერთო დონე მეტად მაღალი იყო.

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს შორის დიდი წარმატება ჰქონდა საინფორმაციო სექციის კინოსურათების გასინჯვას, სადაც უჩვენეს საბჭოთა ფილმები „განთავისუფლება“, „საბჭოთა კავშირის ელჩი“, სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო ანტიფაშისტური ფილმების რეტროსპექტიულ ჩვენებას, ვ. ი. ლენინისადმი, ლენინიზმისადმი, ლენინის იდეების გამარჯვებისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების დემონსტრაციას. ეს ციკლი ფესტივალის კომიტეტმა სპეციალურად მოაწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

პროგრესული კინოხელოვნების წარმომადგენლობითმა პარადმა კარლოვი ვარში მიიზიდა ფესტივალის დღეებში ბევრი სპეციალისტი. მათ შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა. ყველას აზრით, ვინც მონაწილეობდა ჰუმანისტური კულტურის ამ დიდ დღესასწაულში, კარლოვი ვარის ფესტივალი წელს გახდა მსოფლიო კინოხელოვნების პროგრესული დემოკრატიული ძალების ნამდვილი დათვალიერება და სავსებით გაამართლა თავისი დევიზი: „კეთილშობილებისათვის ადამიანთა ურთიერთობაში, ხალხთა მარადიული მეგობრობისათვის“.

მოსკოვში ჩამოვიდა ვალტერ შეელი

26 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი **ვალტერ შეელი,** რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, რათა აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან, 27 იულისს იწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

მინისტრებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის. (საკდესი).

ვ. შეელი ეწვია ა. ა. გრომიკოს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი **ვ. შეელი,** რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა, რათა აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან, 27 იულისს იწვია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

მინისტრებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის. (საკდესი).

თათბირი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში

ბაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოთა და ქვეგანყოფთა ხელმძღვანელი მუშაკების თათბირი. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. ოიდრიამ.

მოხსენება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. შეპარდნაძემ. მან ილაპარაკა შრომა-გასწორების დაწესებულებათა ამოცანებზე, კონკრეტულ ღონისძიებებზე ამ ამოცანების განხორციელებისათვის. მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო შრომა-გასწორების დაწესებულებებში კადრების შერჩევასა და განაწილებას, მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესების საკითხს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს ქვეგანყოფთა ხელმძღვანელი მუშაკები ბ. ბიჭაშვილი, ვ. ლობჟანიძე, ა. მარგიშვილი, მ. ბერულავა, დ. ელიზარაშვილი, ა. ფულაია, ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი შ. ფუფუნავა, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ხინთბა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ჭავჭავაძე, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ნ. მიქაძე. (საკდესი).

მრჩეველი გაძღვა

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის დელეგაციის მრჩეველმა ნელსონმა განცხადება შეიტანა თავისი პოსტიდან გადადგომის შესახებ და ეს ნაბიჯი განმარტა იმით, რომ არ ეთანხმება ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკას.** სახელმწიფო მდივნის უ. როჯერსისათვის გაგზავნილ წერილში ნელსონმა პროტესტი განაცხადა ინდოჩინეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, რომელსაც მან უწოდა „ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგიული და პოლიტიკური შეცდომა ამერიკის ისტორიაში“.

ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნელსონი წინათ იყო ყბადაღებული „მშვიდობის კორპუსის“ წევრი — ორგანიზაციისა, რომელიც ვაშინგტონის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის იარაღია. „მშვიდობის კორპუსში“, შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მისიაში სამსახურმა აიძულა ნელსონი „გაღალმჭროს მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ“.

კრიზისი ძლიერდება

ნიუ-იორკი, 27 ივლისი (საკდესი). **შეერთებულ შტატებში ძლიერდება განხეთქილება, სოციალური რღვევის საფრთხე იზრდება, განაცხადა სენატორმა უმონდეილმა ტელევიზიით გამოსვლისას. სენატორმა, რომელიც ესეს არის დაბრუნდა ქვეყნის სამხრეთ შტატებში მოგზაურობიდან, ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ხდება სამხრეთში სკოლების დესეგრეგაცია.**

სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოითხოვენ ზოგი და თეთრკანიანი ბავშვების ერთად სწავლებას, ყველგან აროვევენ, თქვა მან. სკოლებში, რომლებიც ფორმალურად „დესეგრეგირებულად“ ითვლება, სინამდვილეში თეთრკანიანი და შავკანიანი ძალიან ხშირად სხვადასხვა კლასში სწავლობენ, ხოლო მეცადინეობის ცხრილს ადგენენ იმგვარად, რომ ისინი ერთმანეთს არ ხვდებოდნენ. ზანგ მასწავლებლებს ათასგვარი საბაბით სამუშაოდან ხსნიან.

ინდოეთი

ემემოილეს კონტროლი

კონაკრი, 27 ივლისი (საკდესი). ფასების ხელოვნურად ზრდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გვინეაში შემოღებულია სახელმწიფო კონტროლი ნავთობპროდუქტების გაყიდვაზე. ამიერიდან बენზინსვეტებს, რომლებიც უცხოეთის კომპანიებს „შელს“, „ბრიტიშ პეტროლეუმ კომპანის“ და სხვებს ეკუთვნიან, გამოიყენებს გვინეის სახელმწიფო, რომელიც გადაურიცხავს მათ შემოსავლის გარკვეულ წილს.

იუწყება რა ამას გვინეის დემოკრატიული პარტიის ორგანო „ხოროიაებდო“ ხაზს უსვამს, რომ ეს ღონისძიება ბოლოს მოუღებს სახელმწიფოს ხარჯზე შემოტანილი ნავთობპროდუქტების კერძო განაწილებას.

კაკოწიწეგენ სამხედრო გლოკს

ლონდონი, 26 ივლისი. (საკდესი). **ინგლისის თავდაცვის მინისტრი კარინგტონი გუშინ ლონდონიდან გაფრინდა აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სამოგზაუროდ. იგი გამართავს მოლაპარაკებას სინგაპურის, მალაიზიის, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის მთავრობათა წარმომადგენლებთან.**

მოლაპარაკების მსვლელობაში კარინგტონი, როგორც იუწყებიან, განიხილავს ხუთ ქვეყანას შორის ახალი სამხედრო შეთანხმების დადების შესაძლებლობებს. არსებითად საქმე ეხება შორეულ აღმოსავლეთში ახალი სამხედრო ბლოკის შექმნაზე ინგლისის მეთაურობით და ინგლისის შეიარაღებული ძალებისა და ბაზების დატოვებას „სუეცის აღმოსავლეთით“.

ოლიმპიადა

ბერლინი — ბონი — ბერლინი

ეროვნული ოლიმპიადა

ეროვნული ოლიმპიადა

ეროვნული ოლიმპიადა

##

ფორე მოსულიშვილი — იტალიის ეროვნული გმირი

გმირის ნაკვალევზე

ვილიონობით საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა მეორე მსოფლიო ომმა. მათ შორის ბევრი ქართველი ვაჟკაციც იყო. საქვეყნოდ არის ცნობილი მათი გმირობისა და თავდადების ამბავი, მაგრამ ბევრის სახელი ჯერ კიდევ ელის მწერლისა თუ ჟურნალისტის კალამს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამას წინათ ცნობილი გახდა კიდევ ერთი ქართველი გმირის — ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილის სახელი, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში სიცოცხლე შესწირა ფაშიზმისაგან იტალიის მიწა-წყლის განთავისუფლებას.

ჭეშმარიტად საოცარი და განსაცვიფრებელია ის სიმამაცე და ვაჟკაცობა, რომელიც მან გამოიჩინა იტალიელ პარტიზანებთან მხარდამხარ ბრძოლისას. ამიტომ არც არის გასაკვირველი, რომ მადლიერმა იტალიელმა ხალხმა არ დაივიწყა ქართველი ვაჟკაცის სახელი და მეოთხედი საუკუნის შემდეგ იგი იტალიის ეროვნულ გმირად აღიარა. თუ რაოდენ მაღალი და საპატიოა ეს წოდება, ამის ნათელსაყოფად საკმარისია ვთქვათ, რომ საქვეყნოდ ცნობილ და ლეგენდარულ თევდორე პოლეტაევთან ერთად ფორე მოსულიშვილი მეორე უცხოელია, რომელსაც სიკვდილის შემდგომ მიენიჭა იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება და უმაღლესი სამხედრო ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

საამაყო ქართველი ვაჟკაცის, იტალიის ეროვნული გმირის, ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილის ვინაობის დადგენა, მის მიერ სამამულო ომის წლებში შორეულ იტალიაში გამოჩენილი გმირობის შესწავლა-გამეშუფრება ეუურნალისტ **ედუარდ სიხარულიძის** საგულდაგულო ძიების შედეგია.

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

* * *

რამდენიმე თვის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს იტალიიდან გამოგზავნილი ბარათი, რომელსაც ხელს აწერდა სამამულო ომის წლებში იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი, ამჟამად იტალიის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატი ერალდო გასტონე.

ძვირფასო მეგობრებო, ნათქვამი იყო წერილში, ფაშისტ დამპყრობთაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისა და სიმამაცისათვის, იტალიის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ სიკვდილის შემდგომ დაჯილდოვდა ყოფილი იტალიელი პარტიზანი, გარიბალდელთა ბრიგადის ოცეულის მეთაურის თანაშემწე, ეროვნებით ქართველი მებრძოლი.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ქართველი გმირის ნამდვილი სახელი და გვარი, ჩვენს ხელთ არის მხოლოდ ორიოდე ცნობა. კერძოდ ის, რომ იგი ეროვნებით იყო ქართველი, სავარაუდო სახელია „პორე“, დაიღუპა 1944 წლის 3 დეკემბერს. გთხოვთ დაგვეხმაროთ მისი ნიმდვილი ვინაობის დაზუსტებაში.

შემდეგ ბარათში დაწერილებით იყო აღწერილი იმ გმირობის ამბავი, რომელიც უცნობმა ქართველმა პარტიზანმა შორეული იტალიის მთებში ჩაიდინა ოცდახუთი წლის წინათ. ამასთან ერთად, ყოფილი იტალიელი პარტიზანები ითხოვდნენ წარმომადგენლების გაგზავნას, რომლებსაც გადასცემენ, გმირის ჯილდოს.

ეს იყო და ეს. ამ ძუნწი ცნობებით მეოთხედი საუკუნის შემდეგ უნდა დადგენილიყო გმირის ვინაობა.

დაიწყო საგულდაგულო ძიება. პირველ რიგში დაზუსტდა იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში ბედმა იტალიის მიწა-წყალზე გადაისროლა. ასეთები საკმაოდ ბევრნი აღმოჩნდნენ. საგულისხმოა, რომ უმრავლესობამ იცოდა იტალიიდან მოსულ ბარათში აღწერილი ამბავი, გაგონილი ჰქონდათ მასზე, მაგრამ სახელი და გვარი უცნობი გმირისა ვერავინ აღადგინა. რჩოგრც ჩანს, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქართველები იტალიაში ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ სხვადასხვა პარტიზანულ შენაერთებში იბრძოდნენ. გარდა ამისა, ოცდახუთი წელიწადი არც ისე მცირე დროა იმისათვის, რომ კაცის სახელი და გვარი გადაგვავიწყდეს. რაც შეეხება თვით სახელს „პორეს“, იგი ყველასათვის უცნობი აღმოჩნდა.

წრე თითქოს შეიკრა, მაგრამ გმირის ვინაობის დადგენის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა ჟურნალისტს. იგი კვლავ და კვლავ ხვდებოდა ყოფილ იტალიელ პარტიზანებს, აღგენდა სხვადასხვა ვარიანტებს, გაეცნო დიდძალ ლიტერატურას. ერთ დღეს ზაჭარიამ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, გმარჯვებულნი დაუბრუნდნენ სოფელს, დები მარო და ელო გათხოვდნენ.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი დეტალი დაზუსტდა. ყოფილი იტალიელი პარტიზანების ნამამობით, სპეციალური ლიტერატურის გაცნობით და სხვა მასალებით შესაძლებელი გახდა თითქმის დოკუმენტურად აღდგენილიყო ის გმირობა, რომელიც ფორე ნიკოლოზის-ძე მოსულიშვილმა ჩაიდინა შორეული იტალიის მთებში, ნოვარის პროვინციაში, 1944 წლის 3 დეკემბერს...

* * *

...ᲘᲛ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲚ იტალიის მთებში მკაცრი ზამთარი იდგა. გაუბირდათ მატარონეს კლდეებს შეფარებულ პარტიზანებს, გერმანელებმა კიბასოს, სანტიასა და ნოვარის პროვინციაში დიდძალ შენაერთებს მოუყარეს თავი, მათ სურდათ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ ბოლო ამ მხარეში პარტიზანებისათვის.

პირველ დეკემბერს „რემო სერვადეის“ 181-ე ბრიგადის მეთვალყურეებმა შეამჩნიეს გერმანელთა პირველი სადამსჯელო კოლონები, რომლებიც აგრანოს მხრიდან უახლოვდებოდნენ პარტიზანთა ძირითად ბანაკს.

დგებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ჟამი.

3 დეკემბერს პარტიზანთა რაზმი, რომელთა რიგებში ფორე მოსულიშვილიც იყო, გარშემორტყმული აღმოჩნდა. უამრავი ავტომატმომარჯვებული ფაშისტი ყოველი მხრიდან მოადგა სახლს, სადაც პარტიზანებმა თავი შეაფარეს.

დაიწყო უთანასწორო ბრძოლა...

ზედიზედ წაიქცა რამდენიმე პარტიზანი. ფარღალალა კედლები ვერ იჭერდა ახლო მანძილიდან ნასროლ ტყვიას.

გაცხარებულ ბრძოლაში ვაზნები სწრაფად გამოელია ფორეს, გულმოსულმა ავტომატი გვერდზე ისროლა და ხელუუმბარა მოიმარჯვა.

უეცრად თვალთ დაუბნელდა და ყველაფერი წყვდიადში ჩაიძირა. როცა გონს მოეგო, მკერდთან ხისელი იგრძნო, სისხლი ხალათს უღებავდა. გაჭირვებით წამოიწია და ირგვლივ მიმოიხედა, მის ძმადნაფიცთაგან სიცოცხლის ნიშანწყალი არავის ეტყობოდა.

ფანჯრიდან მოჩანდა მონტერრუნას მწვერვალი, ალპების მეფე...

რძისფერ ნისლში გახვეულმა მთამ გომბორი მოაგონა ფორეს. შემდეგ გონებაში ამოტივტივდნენ მაჩხაანის ოქროსფერი ვენახები, ალაზნის მწვანე ველი...

ცნობიერება ისევ დაუბრუნდა... გაჭირვებით შეიხსნა წელიდან პისტოლეტი. სამი ტყვია იყო დარჩენილი...

გარედან გერმანელების საზეიმო ღრიანცელი ისმოდა.

ფორემ არაადამიანური ძალდატანებით წამოიწია, ჯერ ცალ მუხლზე წამოიჩოქა, შემდეგ მეორეზე, ბოლოს როგორც იქნა დაიმორჩილა თავისი უზარმაზარი სხეული და წელში გაიმართა.

იარაღმომარჯვებული გერმანელები ხედავდნენ, თუ როგორ გაიღო სახლის კარი... ზღურბლზე სიხსლში ამოსვრილი გოლიათი იდგა.

— გამოხვედი მეთაურო? დაგვნებდი! გაისმა შეძახილი.

ფორემ ზიზღით გადახედა ზედ ცხვირწინ მოსულ გერმანელებს, რომლებმაც დაჭრილის ცოცხლად ჩაგდება გადაწყვიტეს და ფრთხილად მიუახლოვდნენ.

არ გეღირსებათ არა, — ჩაიჩურჩულა ფორემ, შემდეგ მარჯვენაში ჩაბღუჯული პისტოლეტი საფეთქელთან მიიდო და ჩახმახს გამოკრა.

გაისმა სროლის ხმა.

შემდეგ ხოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ᲔᲗᲝᲗᲔᲯᲛᲐ საუკუნემ განვლო მას შემდეგ.

ყოფილი იტალიელი პარტიზანები სათუთად და სიყვარულით იხსოვდნენ ქართველი ვაჟკაცის გმირობის ამბავს და დღეს, 25 წლის შემდეგ, კვლავ დაიბადა ფორე მოსულიშვილი, დაიბადა, როგორც იტალიის ეროვნული გმირი, როგორც ყველა ქართველი დედის შვილი.

ედ. სიხარულიძე.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲨᲘ: ზემოთ — გმირის დედა თეკლა მოსულიშვილი შვილის სურათთან; ქვემოთ — სოფელ ქვემო მაჩხაანის ხედი.

ფოტო ბ. ᲓᲐᲓᲕᲐᲫᲘᲡᲐ.

რ. ი. ფრუიძის დაკრძალვა

ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

კომუნისტი
სპორტი

პრიზები და პრეტენდენტები

I საკავშირო ჩემპიონატზე გარდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისა უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებისათვის დაწესებულია სხვადასხვა პრიზები. აი ვინ აცხადებენ ამ პრიზებზე პრეტენზიებს პირველი წრის შემდეგ.

ორი შემადგენლოგით

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას 1958 წლიდან იმ გუნდისათვის, რომელიც ძირითად და ფუძეიორთა შემადგენლობის ქულათა ჯამით უკეთეს შედეგს მოიპოვებს, დაწესებული აქვს სპეციალური პრიზი. პირველი წრის შემდეგ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს მოსკოვის „დინამოს"—47 ქულა (22 ქულა ძირითადი შემადგენლობით, 25 ქულა ფუძეშემადგენლობით). მოსკოვის დინამოელთა უახლოეს კონკურენტს — კიეველ თანამკლუბელებს 40 ქულა აქვთ (21+19).

საუკეთესო ბომბარდირს

ბაზეთ „ტრუდის" პრიზი დაწესებულია იმ ფეხბურთელისათვის, რომელიც ჩემპიონატზე ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს. პირველ რიგში ამ პრიზზე პრეტენზიას აცხადებს მოსკოვის დინამოელი ვ. პოზლოვი, რომელიც 11 გოლის ავტორია. გ. ჰუსაინოვს (მოსკოვის „სპარტაკი") გატანილი აქვს 8 ბურთი, გ. ნოდიას (თბილისის „დინამო") — 7 ბურთი.

დიდი ანგარიშით მოგებისათვის

ყოველკვირეულის — „ფუტბოლ-ჰოკეის" პრიზი დაწესებულია 1961 წლიდან და მიეკუთვნება ფეხბურთელთა იმ კოლექტივს, რომელსაც მეტი რაოდენობით ექნება მოგებული მატჩი 3 და მეტი ბურთების სხვაობით. ამ მხრივ წინ არიან მოსკოვში „დინამოს" და „სპარტაკის" გუნდები, რომლებსაც სამ-სამი ასეთი მოგება აქვთ. დიდი ანგარიშით ორ-ორი მოგება აქვთ თბილისის „დინამოს", ცსკა-ს, ბაქის „ნეფტჩის", ორჯონიკიძის „სპარტაკს".

„ოგონიოკის" პრიზი

ჟურნალ „ოგონიოკს" ჩემპიონატის საუკეთესო მეკარისათვის დაწესებული აქვს სპეციალური პრიზი. ჯერჯერობით ამ პრიზზე პრეტენზიას აცხადებენ ს. კავაზაშვილი, ლ. იაშინი, ვ. ბანიკოვი, ა. პროხოროვი, ლ. შმუცი.

პირველი მედლები

ხარკოვში „დინამოს" საცურავ აუზში მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატი წყალში ხტომაში. უკვე განაწილდა პირველი მედლები სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ვაუთა შორის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა ვიაჩესლავ სტრახოვმა. მან სძლია ისეთ აღიარებულ სპორტსმენებს როგორიც არიან სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ვ. ვასინი და ევროპის ჩემპიონი მ. საფონოვი. ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო მოსკოველი თამარ საფონოვა.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან არმიელი სპორტსმენები — 95 ქულა.

ტურინის უნივერსიადამდე

დამთავრდა სტუდენტ სპორტსმენთა საკავშირო ასპარეზობა — უნივერსიადა. გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. სწორედ ამ სპორტსმენებისაგან დაკომპლექტდება ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ტურინის მსოფლიო ოლიმპიადაზე.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს რსფსრ-ის სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადის, საქართველოს, ბელორუსიის, ყაზახეთის, უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის გუნდები.

ჩოგბურთელთა ერთეულების ასპარეზობაში წარმატება ხვდათ სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ლენინგრადელ ა. პოტანინსა და ბაქოელ ივგენია ბირიუკოვას. კალათბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს ბელორუსიის ვაუთა და ყირგიზეთის ქალთა გუნდებმა.

რამდენიმე სტრიქონით

● კვირას ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა კარინ ბალცერმა 100 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა დრო 12,7 წამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

● ლონდონში დამთავრდა ბრიტანეთის თანამეგობრობის სპორტსმენთა მეცხრე ასპარეზობა. წარმატება ხვდათ ინგლისელებს, რომლებმაც 84 მედალი მოიპოვეს.

● სსრ კავშირის სტუდენტ ფეხბურთელთა გუნდმა სკოპლიში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ჯადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ესპანეთის გუნდი 2:1. მესამე ადგილზე გამოვიდა საფრანგეთის გუნდი.

● მეხიკოში წარმატებით გამოსვლის შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები ჯერ სან-ტრამოს ეწვია და მონაწილეობს ამ ქალაქის თასის გათამაშებაში. საბჭოთა კალათბურთელებმა მოუგეს იუგოსლავიისა და იტალიის გუნდებს 89:59, 98:81 და ლიდერები არიან.

● ბაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში. ბათუმის „დინამოსა" და გორის „ფილას" შეხვედრის შედეგია 2:1 ბათუმელთა სასარგებლოდ.

● ლიპეცკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში გოგონათა შორის. ჩემპიონის ოქროს მედალი კვლავ მოიპოვა ომსკელმა გ. შუგუროვამ, რომელმაც 55,15 ქულა შეაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ასტრახანელი მოსწავლე ე. ლეონტიევა.

ა. ნადარეიშვილი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1918 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი არტემ დიმიტრის-ძე ნადარეიშვილი.

ა. დ. ნადარეიშვილი დაიბადა 1890 წელს, სოფელ აბაშაში. იგი 13 წლის ასაკიდან იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას ქ. ბათუმში; 1912 წელს ჯაზვიულ იქნა ჯარში და პირველი მსოფლიო ომის წლებში იბრძოდა ავსტრიის ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. 1921-24 წლებში ა. ნადარეიშვილი ჩეკისტად მუშაობს ახალსენაკში. შემდგომ წლებში მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქტორი, მე-3 ქართული მსროლელთა პოლკის პარტბიუროს პასუხისმგებელი მდივანია, ხოლო 1929-38 წლებში — ქართული მსროლელთა დივიზიის სამხედრო პროკურორი.

1938 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც მუშაობდა საზოგადოება „სპარტაკის" პოლიტხელმძღვანელად, 1950-57 წლებში იურიდიული კონსულტაციის ადვოკატია საქართველოს სხვადასხვა რაიონში და თბილისში.

ამხ. ა. ნადარეიშვილი დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის".

თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ენერგიული კომუნისტისა და აქტივისტის — ა. ნადარეიშვილის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

რა ვნახოთ, რა ვიფიქროთ

რადიო

29 ივლისი

პირველი პროგრამა

06.05 — უკანასკნელი ინფორმაცია. 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.30 — პოპულარული საოპერეტო მუსიკა, 09.30 — რუსული ლიტერატურის გაზეთების მიმოხილვა, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე". ნარკვევი „ომმორგი", 12.45 — ე. ლალო. ესპანური სიმფონია, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 14.00 — „ნეგვის მელოდიები" (მოსკოვი), 15.00 „მესხების დინასტია" (მოსკოვი), 17.15 — გ. კოკილაძე. კამერული ნაწარმოებები, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ერევნიდან, 21.00 „ძილისპირული", 21.10 — კამერული მუსიკა, 22.50 — ზ. მელორავა. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 23.30 — საესტრადო მუსიკა.

ტელევიზია

28 ივლისი

11.05 — ახალი ამბები, 11.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „არ დაიდარდო", 12.45 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ცხოველთა სამყაროში" (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — „ციროდინას ეკრანი", 18.25 — „განცხადებები, 18.30 — „ჩვენი ეშვიათი ჩანაწერები", 18.50 — „ინონარკვევი, 19.00 — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში", ახალგაზრდული საქმიანობა, 20.05 [illegible] 20.30 [illegible] „ქალაქური [illegible] „ეკონომიკა [illegible] „ამ თვალსაზრისით [illegible] „ეკონომიკა [illegible] „ეკონომიკა [illegible] „ეკონომიკა